უცხოური ქართველოლოგია
KARTVELIAN STUDIES ABROAD

მიშელ ვან ესბროკი
მიუნხენის უნივერსიტეტი

დაპირისპირება პეტრე იბერსა და პეტრე ფულონს შორის (482-491)*

მინდა წარმოგიდგინოთ რიგი მოსაზრებები ორი, მეტად განსხვავებული პიროვნების, პეტრე იბერისა და პეტრე ფულონის შესახებ. იგი მოიცავს და აგრძელებს ჩვენს წინა ოთხ გამოკვლევას: პირველი მათგანი ეხებოდა ჰონიგმანის ჰიპოთეზას დიონისე არიოპაგელის კორპუსის შესახებ, რომელიც მრავალმა კრიტიკოსმა მალევე უკუაგდო.[1] იმ ფაქტს, რომ ჰონიგმანის ჰიპოთეზა ამაოდ უარყვეს, ადასტურებს კორპუსის გამომცემლის, ჰეიდელბერგელი პროფესორის რიხტერის მიერ გამოთქმული მოსაზრება სერიაში Patristiche Texte et Studien.[2] მეორე გამოკვლევა წარმოდგენილ იქნა გასულ წელს, დიონისე არიოპაგელისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, პარიზში. იგი უპირველეს ყოვლისა, შეეხება დიონისეს კორპუსის სამმაგ შესავალს, რომელიც შემოგვინახა VIII საუკუნეში შესრულებულმა ფოკასეულმა თარგმანმა სირიულ ენაზე.[3] ამ გამოკვლევის ჩატარება გვთხოვა დიონისეს კორპუსის თანაგამომცემელმა გიოტინგენის აკადემიაში ბ. სუხლამ (B. Suchla), რომლის ნაშრომებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს კორპუსის შინაარსის გასაგებად.[4] მესამე მოხსენება წარმოვადგინეთ კოტაიამის

* L'opposition entre Pierre l'Ibère et Pierre le Foulon (482–491), *Caucasica* I, 1998, p. 60–87.

1 M. van Esbroeck, Peter the Iberian and Dionysius the Areopagite. Honigmann's Thesis revisited, in *Orientalia Christiana Periodica*, 59 (1993), 218–227.

2 A. M. Reiter, Proclus Christianizans? Zur geisteschichelichen Verortung des Dionysius Ps. Areopagita, in *Panchaia. Festschrift für Klaus Thracde*, Jahrbuch für Antike und Cristentum 22 (1995), 170–172.

3 M. van Esbroeck, Le triple preface de Phocas, à paraitre dans les Actes de la Conférence sur Denys l'Aréopagite tenue à Paris en 1995.

4 B. R. Suchla, Die sogenannten Maximus-Scholien Des Corpus Dionysiacum Areopagiticum,

კონფერენციაზე, რომელიც ეხებოდა სავარაუდოდ, 482 წელს კალანდიონიდან ანტიოქიაში ჩასვლისას,[5] თუთიყუშის შესახებ რელიგიური და პოლიტიკური სულისკვეთებით დაწერილი სირიული ჰომილიის კონტექსტს. მეოთხე იყო დასკვნები პეტრე ფულონის საქმიანობაზე პონტოს ნეოკესარიაში მაშინ, როცა ვახტანგ გორგასალმა მიიღო ზენონის ახალი, ჰენოტიკური პოლიტიკა. ნაშრომი წარვადგინეთ წინა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც თბილისში უნდა გამართულიყო და რომლის მასალებიც აუცილებლად გამოქვეყნდება.[6]

ამ შესავლის შემდეგ გვინდა შუქი მოვფინოთ დაძაბულობას, რომელსაც ნამდვილად უნდა ჰქონოდა ადგილი ორ პეტრეს შორის 482 წლიდან, ყოველ შემთხვევაში „ზენონის ჰენოტიკონიდან“ მოყოლებული.

ყველაზე დიდი პარადოქსი პეტრე იბერთან დაკავშირებით არის ის, რომ თითქმის ყველაფერი, რაც მის შესახებ ვიცით, მომდინარეობს იოანე რუფუსის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან. იოანე რუფუსმა დაგვიტოვა ორი ტექსტი, „ცხოვრება“ და „პლეროფორიები“, სადაც პეტრე იბერი წარმოდგენილია როგორც სულიერად ძლიერი, პოლიტიკურად კი მონოფიზიტობისადმი რადიკალურად განწყობილი, უდრეკი პიროვნება.[7] იოანე რუფუსის ეს თვალსაზრისი მთელ „პლეროფორიებს“ გასდევს. „ცხოვრება“ კი ნაკლებად ემსახურება ამ მიზანს, ავტორი მხოლოდ „ცხოვრების“ ბოლოს ცდილობს დაუძლურებულ მოხუცს უკანასკნელი მონოფიზიტური აღსარება ათქმევინოს. ასეთი მიკერძოებული სულისკვეთების გამო, საჭიროა რუფუსის მონათხრობს დიდი სიფრთხილით მოვეკიდოთ, სანამ ჭეშმარიტ ფაქტად მივიჩნევდეთ მას.

Nachrichten der Akademie der Wissenschaften in Göttingen, I. Phil.-Hist. Klasse (Göttingen, 1980, 3), 33–66. Id. Die Überlieferung des prologs des Johannes von Scythopolis zum griechishen Corpus Dionysiacum Areopagiticum in id. (Göttingen, 1984, 4), 177–188. Id., Eine Redaktion der griechischen Corpus Sionysiacum im Umkreis des Johannes von Skythopolis, des Verfassers von Prolog und Scholien, in id. (Göttingen, 1985, 4), 179–194.

5 M. van Esbroeck, The memra on the Parrot by Isaac of Antioch, გამოკვლევა გამოქვეყნდება ოქსფორდში, Journal of Theological Studies-ის მომდევნო ნომერში.

6 M. van Esbroeck, Vakhtang Gorgasali et l' évêque Mikhael de Mtskheta, გამოქვეყნდება კრებულში Actes du troisième Symposium international de Kartvélologie. იმავე საკითხს სხვა კუთხით შევეხეთ ნაშრომში M. van Esbroeeck, Lazique, Mingrélie et Svanéthie et Aphkhazie du IVe au IXe siècle, II Caucaso: carriera fra culture dal mediterraneo alla Persia (Secoli IV–XI) Settimane di studio del Centro italiano di studi sull'alto Medioevo 43 (Spoleto, 1996), 196–209.

7 გამომცემელი R. Raabe, Petrus der Iberer. Eine Charakterbild zur Kirchen- un Sittengeschichte des fürften Jahrhunderts. Leipzig, 1895. Jean Rufus, Prélophories, éd. F. Nau, Patrologia Orientalis, (1912), 4–209.

ეს 475–476 წლებში,[8] ბასილიკოსის დროს მოხდა. ზენონის ხელისუფლებაში დაბრუნებიდან ერთი წლის შემდეგ, აშკარად მონოფიზიტური პოლიტიკის გამო, პეტრე ფულონი ბიჭვინთაში გადაასახლეს. მან ცხრა წელიწადი გაატარა არა იქ, არამედ წმ. თეოდორეს საფლავთან, ამასესა და მისდამი დაქვემდებარებულ ადგილებში, რომელთა შორისაც უპირველეს ყოვლისა ფიგურირებდა ნეოკესარია, ქალაქი, რომელიც „ვახტანგის ცხოვრებაში" ანძიანძორად მოიხსენიება. 485 წელს, როცა რუფუსი, როგორც ეპისკოპოსი, ოფიციალურად ჩავიდა ანტიოქიაში, სადაც პეტრე ფულონმა განამწესა 475/476 წწ., მისმა ანტიოქიელმა მეგობრებმა სთხოვეს, მონოფიზიტური ორთოდოქსია ეღიარებინა. მაშინ, როცა პეტრე ფულონი კავკასიაში იმყოფებოდა, იოანე რუფუსი ღაზის რეგიონში ასკეტებს აფარებდა თავს და ხშირად სტუმრობდა პეტრე იბერს, რომელსაც დაემოწაფა კიდეც. ასევე, მისწერა მას წერილი, რომლითაც აცნობებდა ანტიოქიიდან მიღებული მიწვევის შესახებ. მასში იოანე რუფუსს მოჰყავს პეტრე იბერის ერთ-ერთი იშვიათი ტექსტი, რომელიც აშკარად მისი სახელითაა დაწერილი. ეს წერილი მოწმობს ქართველი უფლისწული ბერის მტრულ დამოკიდებულებას ავანტიურისტი პატრიარქისადმი, რომელმაც გადამწყვეტი გავლენა იქონია ქართველი მეფის, ვახტანგ გორგასლის ეკლესიაზე. მოგვყავს ამ მოკლე წერილის სრული თარგმანი იოანე რუფუსის სირიული ვერსიიდან.

> *მას შემდეგ, რაც შენი უწმინდესობის წერილი წავიკითხეთ, ჩვენ, ვისაც გვიყვარხარ, შიშმა შეგვიპყრო და ვწუხვართ, რადგან დავინახეთ ეშმაკის დაგებული მახე, რომელიც ძალისხმევას არ იშურებს და ყველანაირად ცდილობს წაგართვას ღმერთის იმედი და ხსნა, ასევე სახელი გაუტეხოს შენს ძალისხმევას საკუთარი თავისა და ორთოდოქსიისთვის. ის წინდაწინ დარწმუნებულია, რომ თუ ანტიოქიაში წახვალ, ჯერ შეშფოთდები, მერე კი შენი მეგობრები და იქაური მმართველი შეეცდებიან შენ გადაბირებას. შენ ან მათ შეუერთდები, ან თუ უკან დაგაბრუნებს, მტრად მოიკიდებ. იმოქმედე შენი ძალების შესაბამისად, ჩვენ კი აქ ყველაფერს ვიღონებთ, რომ ღმერთს არ შესცოდო, არ დაკარგო დიდი სიკეთე და შენი მეგობრები არ დაგვამწუხრო.* [9]

ამ წერილის მიღების შემდეგ იოანე რუფუსი პეტრე იბერის მხარეს დარჩა და ანტიოქიაში არ დაბრუნებულა, სადაც 488 წლამდე, ანუ გარდაცვალებამდე, ფულონი მეფობდა. ამ წერილის ნიუანსებითა და ზრუნვით სავსე ტონი უპირისპირდებოდა ან პეტრე ფულონის რელიგიურ პოლიტიკას ანტიოქიაში, ან მერყეობას ადამიანისა, რომელიც შეურიგდა იმპერატორ ზენონსა და მის „ჰენოტიკონს". ორივე შემთხვე-

8 F. Nau, Plérophories, 47, chapitre XXII.

9 Ibidem, 49–50.

ვაში აშკარაა პეტრე ფულონის როლი ქართულ საეკლესიო საქმეებში.

ეჭვი არაა იოანე რუფუსის განზრახვაში, „ჰენოტიკონი“ გამოიყენოს იმ უკომპრომისო მონოფიზიტობის წარმოსაჩენად, რომლითაც სურს შემოსოს პეტრე იბერი და შექმნას მონოფიზიტობის უდიდესი მოწინააღმდეგის პორტრეტი. მაგრამ, რადგან იოანე რუფუსს ასეთი მიზანი ჰქონდა, საკითხავია, მართლაც ასეთი იყო თუ არა პეტრე იბერის პოზიცია. წერილის ტექსტი არ გვაწვდის არავითარ დეტალს, რომელიც დაასაბუთებდა ამ თეზას. „პეტრე იბერის ცხოვრებაში“ ვინმე იოანემ გაიზიარა პეტრე იბერის იდეალი, მას შემდეგ, რაც 475/476 წწ., „ჰენოტიკონამდე“ გაცილებით ადრე, ანტიოქიაში მღვდლად ეკურთხა პატრიარქად დანიშნული ყოფილი ბერის ხელით. ჯერ კიდევ ნაუ ამ იოანეს იოანე რუფუსთან აიგივებდა.

პეტრე ფულონის მიერ „ჰენოტიკონის” მიღების ტექსტი გადმოცემულია მისსავე წერილში აკაკი კონსტანტინოპოლელისადმი, რომელიც შემონახულია ევაგრესა (III, 17) და ნიკიფორესთან. ძირითადი ფრაზა შემდეგია: *„უზენაესი ღმერთი მუდმივად მიგვიძღოდა და აერთიანებდა ღვთის წმინდა ეკლესიას და აშკარა მაგალითებით დაგვარწმუნა, რომ ამის გარდა სხვა არაფერი ყოფილა სანქცირებული* (იგულისხმება ნიკეის კრებაზე დამსწრე 318 და კონსტანტინოპოლის კრებაზე დამსწრე 150 პირის გადაწყვეტილებები) ქალკედონის *უწმინდეს და ეკუმენიურ კრებაზე, რომელიც სრულად შეესაბამება და ადასტურებს წმინდა მამების მიერ ნიკეაში ნათქვამს. მათ არაფერი მიუღიათ ახალი თავიანთი მეთაურისგან და ჩვენც დავეთანხმეთ და ვირწმუნეთ.“*[10] ამ მერყეობას უნდა მოწმობდეს პეტრე იბერის წერილიც. ეჭვი არაა, რომ ასეთივე განზრახვა ჰქონდა იოანე რუფუსს ამ ამაღელვებელი წერილის მიტანისას. პეტრე ფულონის 485 წლის სინოდალური განჩინება პეტრე ალექსანდრიელისადმი შემონახულია „ზაქარია სქოლასტის ისტორიის“ სირიული თარგმანით. მრწამსის ეს აღიარება გაცილებით ფრთხილია. იგი თავს იკავებს „ქალკედონის წმინდა კრების“ ხსენებისგან და მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ „ჰენოტიკონი“ აჯამებს პირველ სამ კრებას.[11] პეტრე ფულონის რეპუტაციას ჩრდილი მიადგა მისი მანევრების გამო. 518 წლით თარიღდება შვიდი ფიქციური წერილი პეტრე ფულონისადმი, რომელთა მიზანიც მისი სამუდამოდ განადგურება იყო ორთოდოქსების თვალში.[12] ამ შედარებით გვიანდელ ორთოდოქსულ პოლემიკას შეესაბამება პეტრე

10 J. Bidez and L. Parmentier, The Ecclesiastical History of Evagrius, London, 1898, 115.

11 K. Ahrens und G. Krüger, Die sogrenannte Kirchengeschichte des Zacharios Rhethor, V, 10 (Leipzig, 1899), 81–82.

12 E. Schwartz, Publizistische Sammlungen zum Acacianischen Schisma, München, 1934, 287–300.

ფულონის განმაქიქებელი ქართული პამფლეტი, რომელზედაც წინა კონფერენციაზე მოგახსენეთ. იოანე რუფუსმა „პეტრე იბერის ცხოვრება“ დაწერა, სავარაუდოდ, იმავე ეპოქაში, 518 წელს, როცა საჭირო გახდა მონოფიზიტთა სასულიერო იერარქიის გადარჩენა.

მაგრამ, „პლეროფორიები“, რომელშიაც იოანემ პეტრე იბერის წერილი მოიხსენია, უფრო ადრეულია და 505 და 511 წლებს შორის უნდა იყოს დაწერილი. მართლაც, 505 წ. იოანე ნიკეელმა „ჰენოტიკონი“ აკრძლა ალექსანდრიაში და ყველა თხზულება ქალკედონის კრების წინააღმდეგ დაეყრდნო მოძრაობას, რომელიც დასრულდება 511 წ. იმპერატორ ანასტასის ეკტეზისით. ამ კონტექსტში პეტრე იბერის წერილი ირიბად ადანაშაულებს პეტრე ფულონს ფარულ ქალკედონიზმში. სწორედ ამ განზრახვით უნდა გამოეყენებინა იოანე რუფუსს ეს წერილი.

მაგრამ, საკითხავია, 485 წ. მართლაც იდგა თუ არა ეს პრობლემა. ევაგრე და ნაყალბევი წერილები გაცილებით გვიანდელია. სინოდის წერილი პეტრე ალექსანდრიელისადმი ნაკლებ ადგილს უთმობს ამ გვიანდელ კრიტიკას. ე.ი. იმის გათვალისწინებით, რაც ანტიოქიაში მოხდა, სრული უფლება გვაქვს გადავხედოთ დაპირისპირებას მაიუმელ ბერსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის.

სირიული *memro* თუთიყუშის შესახებ თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ გაცხარებულ დავებში, რომელმაც შეიწირა სტეფანე II ანტიოქიელის სიცოცხლე, სამწმინდაობის საკითხი და ჩართვა ფრაზისა „შენ, რომელიც ჯვარს ეცვი ჩვენთვის“ სერაფიმთა შესხმაში რელიგიური კონფლიქტის ცენტრში იდგა, რაც ქუჩის ბრძოლებში გადაიზარდა. პეტრე ფულონი იმთავითვე გამოირჩეოდა სამწმინდაობის ინოვაციით,[13] რაც ბევრის, და ვფიქრობთ, პეტრე იბერის თვალშიც ღვთის ტახტზე მეოთხე წევრის შეუწყნარებელ შემოყვანას წარმოადგენდა. დედამიწაზე ჯვარი იყო ღმერთის უანგარო სიყვარულის მთავარი დასტური, მაგრამ გაუმართლებელია მისი არსებობა ზეციურ იერარქიაში, სადაც წინასწარმეტყველ ისაიას ტექსტის მე-6 თავის თანახმად, გალობენ ქერუბიმები და სერაფიმები. იმ დროისთვის პეტრე იბერი უკვე იცნობდა იოანე ევნუქისა თუ მითრიდატეს ხილვების რედაქციას, რომლებითაც ჯერ კიდევ ახალგაზრდამ ასკეტური ცხოვრება, ან როგორც ნიკიფორე კალისტა ქსანტოპულოსი დედოფალ ევდოკიას ათქმევინებს, პლატონის ფილოსოფია[14] აირჩია. პეტრე იბერი გულგრილი არ დაუტოვებია იმას, რომ 484 წელს პეტრე ფულონმა მიაღწია ამ ფორმულის შეტანას საქართველოს ეკლესიაში. ვფიქ-

13 G. C. Harson, Theodoros Anagnostes Kirchengeschichte, Berlin, 1971, 109. Fragment 390.

14 M. van Esbroeck, Peter the Iberian, 220.

რობთ, რომ უპირველეს ყოვლისა, ამას უნდა მოწმობდეს მისი 485 წლის ფრთხილი წერილი იოანე რუფუსისადმი.

სხვათა შორის, დიონისეს კორპუსის მკვლევრებმა დიდი ხნის წინ შეამჩნიეს მასში ჯვრის არარსებობა. გვსურს შეგახსენოთ, როგორია უკანასკნელი ტენდენციები, რომლებმაც თავი იჩინა პარიზის კონფერენციაზე. საერთოდ, ფილოსოფოს პროკლეს ტექსტის გამოყენება უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე ამას ერთი საუკუნის წინ ჯ. სტიგლმეიერი ფიქრობდა. მათ, ვინც იზიარებს ერნესტ ჰონიგმანის თეორიას, ეს არ გაუკვირდება. კონსტანტინოპოლში მყოფ 12–18 წლის პეტრე იბერს დედოფალი ევდოკია დედად მიაჩნდა და ისიც, დედოფლად გახდომამდე ათენელი, ათენელი ფილოსოფოსის ასული იყო, სადაც პროკლე ასწავლიდა. გასაკვირი არაა, რომ მას მონაზვნური ცხოვრება ჭეშმარიტ პლატონიზმად მიაჩნდა.

დიდი პროგრესი მოახდინა ბ. სუხლამ, რომელმაც თავის სადისერტაციო ნაშრომებში კორპუსის ხელნაწერი ტრადიცია გამოიყენა. დღეს აშკარა გახდა, რომ იოანე სკვითოპოლელისთვის მიკუთვნებული, მაქსიმეს სახელით „პატროლოგიაში“ გამოქვეყნებული კორპუსის კომენტარები, კორპუსის პირველ გამოცემას ეკუთვნის და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ამავე დროს, იოანე სკვითოპოლელი დიონისე არიოპაგელის ფსევდოეპიგრაფიკის მთავარ პერსონაჟად იქცა. სერგიოს რეშაინელი სირიული ვერსია პირველი ნაშრომია, რომელმაც გამიჯნა კომენტარების ტექსტი, რაც ერთი საუკუნით გვიან ფოკას არ გაუკეთებია. სირიული კომენტარები შეიცავს ანოტაციების მრავალ განსხვავებულ ფენას. გარდა ამისა, კორპუსის შესავალი სამი ნაწილისგან შედგება – თავად ფოკასი, რომელიც უბრალოდ, კომენტარების გამოყენების წესს წარმოადგენს, იოანე სკვითოპოლელის, რომელიც ბერძნულადაც შემოინახა და გიორგისი კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიიდან, რაც მხოლოდ ფოკასთანაა შემონახული. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საინტერესოა. გიორგი წარმოშობით სკვითოპოლისიდან იყო. იგი თავგამოდებით იცავდა კორპუსის დიონისესეულ ავთენტურობას და იმოწმებდა იმგვარ სკეპტიციზმს, როგორითაც ეს მიკუთვნება მიიღეს კონსტანტინოპოლში. ბოლოს გვიჩვენებს, რომ კორპუსი თავისი მოკლე წერილებით მეტი სარწმუნოებისთვის არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით შეიქმნა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ტრანსფორმაციებს უდიდესი წარმატება მოჰყვა. მეტიც, იოანე სკვითოპოლელის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, რომ მანაც ნახა მასში კომენტარები. შესაბამისად, ნაშრომი წარმოგვიდგება, როგორც ძირითადი ტექსტის კომენტარების რიგი.

კორპუსის შექმნისთვის მოცემულია ორი terminus a que. ერთი მხრივ, პროკლეს 462 წ. ნაშრომის პუბლიკაცია და მეორე მხრივ, კირილე სკვითოლოელელის მიერ ნახსენები იოანე სკვითოპოლელის ვიზიტი საბაწმინდაში 516 წელს. აქედან გამომდინარე, კორპუსის დათარიღება სავსებით გამორიცხავს ყოველგვარ კავშირს პეტრე იბერთან.

სინამდვილეში, თუ გავითვალისწინებთ ევდოკია ფილოსოფოსსა და პეტრეს შორის ურთიერთობას, არ უნდა დაველოდოთ ოფიციალურ გამოცემას იმის შესახებ, რომ ფილოსოფოსის მოზრდილ პასაჟებს განდეგილ ბერამდე მიეღწია. მეორე მხრივ, არსებობდა ორი იოანე სკვითოპოლელი და კომენტარების ავტორი პირველი მათგანი უნდა იყოს. ფოტიუსის დამოწმებით, სწორედ მას ეკუთვნის დღეისათვის დაკარგული ნაშრომი აპოსხისტების წინააღმდეგ, რომელიც მან დაწერა არქიერეუს იულიენის, ანუ 471–475 წწ ანტიოქიის პატრიარქის თხოვნით, რომელმაც პირველი ინტერვენციის შემდეგ შეცვალა პეტრე ფულონი ანტიოქიაში.[15] ჯერ კიდევ ლეონ I-ის მეფობისას ფულონმა ანტიოქიელ აპოლინარისტებთან შეთქმულებით განდევნა პატრიარქი მარტირიუსი და დაიკავა მისი ადგილი. ფულონის ეს პირველი ავანტიურა დიდხანს არ გაგრძელებულა. ლეონს არ შეეძლო ეს შეეწყნარებინა. ფულონის ქმედებისთვის შუქის მოსაფენად იულიენის მიერ ანტიოქიიდან ადვოკატის მოწვევა პეტრე იბერს გულგრილს ვერ დატოვებდა. ვფიქრობთ, როგორც კი ის ამ ნაშრომს გაეცნო, შეეცადა დაკავშირებოდა პირველ იოანე სკვითოპოლელს.

იოანე რუფუსი მას შემდეგ, რაც იგი პეტრეს დაემოწაფა, თავის ძალზედ უცნაურ „ცხოვრებაში“ მოგვითხრობს, როგორ მოინახულა პეტრემ იერუსალიმის წმინდა ადგილები. თუმცა, მისივე დამოწმებით, წმინდა ადგილების მონახულება იოანე რუფუსის ოცნება იყო. მისი თქმით, პეტრე იბერი 486 წ. იერუსალიმის ჩრდილოეთით, საკურორტო ქალაქში მოგზაურობის დროს მეგობრებს შორის გაუჩინარდა. მას არ გაუჭირდებოდა დედოფალ ევდოკიას ახლობელთა შორის, რომლებსაც, იოანე რუფუსის სიტყვებით, შეეძლოთ, პეტრე იბერი რამდენიმე თვით შეეფარებინათ. ჩვენი აზრით, სწორედ მაშინ გაჩნდა იდეა წმ. პავლეს მიერ მოქცეული ათენელი ფილოსოფოსის, დიონისესთვის მიეკუთვნებინათ პეტრე იბერის დაწერილი იოანე მითრიდატეს ხილვები და კომენტარები. იოანე სქოლასტი სკვითოპოლელი აშკარად კარგად უნდა ყოფილიყო აღჭურვილი ამ ტრანსფორმაციისთვის, რომელსაც, როგორც გიორგი სკვითოპოლელმა დაგვანახა, მეტი სარწმუნოობისთვის შემდგომი დახვეწა დასჭირდა.

15 ამის შესახებ იხ. ციტირებული *La triple préface de Phocas*, იბეჭდება.

ამგვარად, პეტრე იბერის პორტრეტმა შეიძინა ღმერთს შეწირული ქართველი დიდებულის განზომილება, რომელმაც ქრისტიანობაში პლატონის ფილოსოფიური იდეალის აღსრულება დაინახა, მაგრამ მხარეების კონფლიქტს მიღმა დარჩა. ის არ იყო ლიტერატურული ფალსიფიკაციის მომხრე. იგი ნამდვილად არ ეთანხმებოდა არც პროტერიუსის მკვლელობას ალექსანდრიაში და არც სტეფანე II-ის მკვლელობას ანტიოქიაში. ალბათ მანაც ისევე, როგორც დედოფალმა ევდოკიამ 456 წ. აღიარა ქალკედონის კრება, მაგრამ შეეცადა თავი აერიდებინა მონოფიზიტ მეგობრებთან დაპირისპირებისთვის. იოანე რუფუსის მიერ შემონახული მოკლე წერილი მოწმობს მისი კორესპონდენტის ტაქტს, სრულ თავისუფლებასა და ერთადერთ საზრუნავს, არ შეურაცხყოს ღვთის სიყვარული.

ფრანგულიდან თარგმნა
ცისანა ბიბილეიშვილმა
კავკასიის უნივერსიტეტი